თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5401987

ნომერი: AR1825461

თარიღი : 10.05.2021

გაცემის თარიღი : 14.05.2021

გაცნობის თარიღი : 14.05.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო; ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ღარიბაშვილი პ/ნ 01024070907
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, და გაცნობებთ: ვინაიდან საპროექტო ტერიტორია ყვება განაშენიანების კონტურის გარეთ, ამასთან „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად შემოღობვა განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ საჭიროებს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიღებას, შესაბამისად საჭიროა პირველ რიგში მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

ცნობისათვის: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, წარმოსადგენი გექნებათ:

1. საპროექტო მიწის ნაკვეთი (81.08.16.897) ყვება რკინიგზის შეზღუდვის ბუფერში, რისთვისაც წარმოსადგენი იქნება სს საქართველოს რკინიგზის თანხმობა

2. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია ყვება ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის „დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონი“-ს შეზღუდვის არეალში და საპროექტო ღობის აბსოლუტური სიმაღლე აღემატება დასაშვებ სიმაღლეების ზღვარს (524 მ.), შესაბამისად, წარმოსადგენი იქნება აეროდრომის ექსპლუატანტის შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს თანხმობა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.